01/05/2026

MES 0 26 0000514223

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი; საბჭოს მდივანი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ქართულ - ამერიკული სკოლა:
ირაკლი მანელიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლა:
შორენა ბუნტური - სკოლის დირექტორი
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა:
ფიქრია მუმლაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლა:
მიხეილ გიორგაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლა:
თამარი კვანტიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლა:
ირაკლი ტეფნაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლა:
ჯულიეტა ჯინჯოლავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლა:
მიხეილ ჩიქოვანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა:
დურსუნ ნიჟარაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს თბილისის ქართულ - ამერიკული სკოლა:
ა) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლა:
ა)მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ)თეონა ბერიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლა:
ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლა:
ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ იაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ჯგერენაია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლა:
ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ წიწიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლა:
ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ მატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა ტყემალაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა:
ა) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ტარიელ კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 17 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს სხდომას ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი. დებულების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, მისი ფუნქციები შეასრულა საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ქართულ - ამერიკული სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე აღნიშნა, რომ ცენტრს დაუკავშირდა სსიპ - ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ექსპერტი და ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ითხოვა სსიპ - ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის 1-ელ საკითხად განხილვა.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ქართულ - ამერიკული სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1.სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი; სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო მშობელთა გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფდა მშობელთა მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვის პროცესში. ასევე, წახალისებული იყო მოსწავლეთა ინიციატივები, ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, ღონისძიება და ა.შ.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, შეთანხმებული ჰქონდა თუ არა სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
სკოლის დირექტორის, თამარ კვანტიძის თქმით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყო შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემაც.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლაში ადაპტირებული გარემო და რესურსოთახი, ასევე ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი.

ექსპერტის, მაკა ტუკვაძის განმარტებით, დაწესებულებაში იყო რესურსოთახი და ადაპტირებული გარემო. სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი, რომელიც ახორციელებდა მრავალფეროვან აქტივობებს.
სხდომის მდივანმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა უცხოური ენების საგნობრივ ექსპერტს, უცხოური ენების მიმართულებით მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოსთვის.
უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ქეთევან ბერიძემ, აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს და შექმნილი ჰქონდა შემოქმედებითი პროდუქტები. მისივე თქმით, გასაუბრების დროს გამოიკვეთა რამდენიმე უზუსტობა კურიკულუმებში, რომელიც ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა გამოასწორეს და გაითვალისწინეს შესაბამისი რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:47
დასრულების დრო - 14:52

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლას (ს/კ: 215606333) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ქალაქი ჭიათურა, დავით ცხოვრებაძის ქუჩა N11.

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ჭიათურა, დავით ცხოვრებაძის ქუჩა N11.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ჭიათურა, დავით ცხოვრებაძის ქუჩა N11.

2. შპს თბილისის ქართულ - ამერიკულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
ექსპერტის თქმით, სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული კომპონენტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და უსაფრთხო გარემო.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია, რომელიც მიღებული ჰქონდა 2023 წლის 27 სექტემბრის N1251587 გადაწყვეტილებისა და N1251483 ოქმის საფუძველზე.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
ექსპერტის, მერი ქვრივიშვილის თქმით, სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შპს თბილისის ქართულ - ამერიკული სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:59
დასრულების დრო: 15:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის ქართულ - ამერიკული სკოლის (ს/კ: 406404939) მონიტორინგთან დაკავშირებით.

3.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259675

გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 500 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 393.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, 3.4 კომპონენტი შეფასდა როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო 3.6 კომპონენტი შეფასდა „შესაბამისად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო ყველა რეკომენდაცია, გარდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რის საფუძველზე განისაზღვრა სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში 2027 წლის დეკემბერი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების ვადად.
ექსპერტის, ირინა დვალის განმარტებით, სკოლას ჰქონდა მიწერილობები სხვადასხვა პასუხისმგებელ ორგანოსთან და იმედოვნებდნენ, რომ 2027 წლის დეკემბრამდე ექნებოდათ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:12
დასრულების დრო: 15:16

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის (ს/კ: 218049270) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. **სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1140377 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1500 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1264.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლას 2017 წლიდან ჰქონდა გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება და გასცემდა გერმანული ენის დიპლომს. სკოლა გაერთიანებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამაში და მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა სწავლა გაეგრძელებინათ გერმანიის კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული კომპონენტები შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, თუმცა აღნიშნულ დასკვნაში ფიქსირდებოდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც სკოლას უნდა შეესრულებინა, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევა.
ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:23
დასრულების დრო: 15:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის (ს/კ: 203853865) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2028 წლის აპრილში სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილ დასკვნაში არსებული რეკომენდაციების გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5.სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N1179242 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1720 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1681.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) კომპონენტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 3.6 კომპონენტი შეფასდა „შესაბამისად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ, ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ასევე, არ იყო ადაპტირებული გარემო. ასევე, გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო ყველა რეკომენდაცია, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავების, ექიმის დანიშვნის და შენობის ადაპტირების გარდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
სკოლის დირექტორმა, მიხეილ გიორგაძემ, აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში ექიმის კვალიფიკაცია არ ყოფილა დახარვეზებული, შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით ცვლილება არ განხორციელებულა. მისივე თქმით, სკოლას მიღებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, აღნიშნულ დასკვნაში დახარვეზებული სააქტო დარბაზთან მდებარე სახანძრო კიბის საკითხი, თუმცა აღნიშნულის მოწყობა სკოლას საკუთარი ფინანსური რესურსით არ შეეძლო და მიმართული ჰქონდათ ქალაქ ქუთაისის მერიისთვის, ასევე, პასუხისმგებელ ორგანოსთან მიმართული ჰქონდათ ლიფტის მოწყობისა და ადაპტირებული გარემოს შექმნისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა ექიმის საკითხით, კერძოდ რამ განაპირობა, რომ ავტორიზაციის დროს არ იყო დახარვეზებული აღნიშნული საკითხი და დახარვეზდა მონიტორინგის დროს.
ექსპერტის, ზვიად ბერიძის განმარტებით, სკოლას ჰყავდა ექთანი, რომელიც აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა სკოლის ექიმი და აღნიშნულმა გამოიწვია სტანდარტის დახარვეზება.
სკოლის დირექტორის თქმით, გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის ვაკანსია, თუმცა ვერ შეირჩა შესაბამისი კადრი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:37
დასრულების დრო: 15:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლის (ს/კ: 212706222) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში კვალიფიციური ექიმის დასაქმების, ხოლო **შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნისა და შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლაში

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 თებერვალს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა როგორ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება სკოლაში და სთხოვა ექსპერტებს, მეტი დეტალი ეცნობებინათ საბჭოსთვის.
ექსპერტის, ნანა მონიავას განმარტებით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა მეზობელ სკოლებთან და მათთან ერთად არაერთი პროექტი ჰქონდა განხორციელებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:43
დასრულების დრო - 15:46

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლას (ს/კ: 239402632) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალოვანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალოვანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალოვანი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონტაჟის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო **2028 წლის აპრილში** შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06

მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო სრულად სარეაბილიტაციო, თუმცა ჰქონდა მოწესრიგებული გარემო. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა ინოვაციური ტექნოლოგიების კეთილმოწყობილი კაბინეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს სხდომის მდივანი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, თუ რატომ მოითხოვა სკოლამ მასწავლებელთა სავალდებულო ცნობების წარმოსადგენად 1 წლიანი ვადა, რადგან მისი შეფასებით აღნიშული პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია მსგავსი დოკუმენტაციის მოსაპოვებლად. ასევე, დაინტერესდა რამდენად თანამშრომლობდნენ კათედრაში შემავალი საგნების მასწავლებლები საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში.
სკოლის დირექტორმა, ჯულიეტა ჯინჯოლავამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფისგან სკოლამ მიიღო მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და რჩევები, რომლებსაც სამომავლოდ აუცილებლად გაითვალისწინებდა. ცნობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მასწავლებელთა უმეტესობას უკვე მოპოვებული ჰქონდა ცნობები, თუმცა, ვინაიდან სხვა საკითხებთან მიმართებით გაწერილი ჰქონდათ 1 წელი, ცნობების მოპოვებასთან მიმართებითაც 1 წელი მიიჩნიეს გონივრულ ვადად.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, შორენა ტყემალაძის განმარტებით, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა შემოქმედებითი დავალების ნიმუში და მათთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ აპირებდნენ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:59
დასრულების დრო - 16:04
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბორჯომის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 226157404) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბორჯომი, წმინდა ნინოს ქუჩა N2.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბორჯომი, წმინდა ნინოს ქუჩა N2.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბორჯომი, წმინდა ნინოს ქუჩა N2.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წელიწადში ორჯერ განხორციელების, სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში კანონმდებლობის შესაბამისი ცნობების, პირველ სართულზე ვიდეომონიტორინგის სრულყოფილად განხორციელების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო **2027 წლის აპრილში** ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავების, შენობის ადაპტირების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ინფრასტრუქტურულად გამართვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1500. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“, ხოლო მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შიდა სივრცეებში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, თუმცა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა იყო არადამაკმაყოფილებელი.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებული იყო ტოლერანტული და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემაზე დაფუძნებული გარემო, რაც უკავშირდებოდა მის ისტორიულ კონტექსტს. დაწესებულებაში იყო თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამუშაო კულტურა. ექსპერტის თქმით, იგრძნობოდა ურთიერთპატივისცემა ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ არადამაკმაყოფილებელი დასკვნის მიღების შემდეგ, რა ინტერვენციული ნაბიჯები გადადგა სკოლამ.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით სკოლას ჰქონდა მიწერილობა არაერთ პასუხისმგებელ უწყებასთან. სკოლის დირექტორის, მიხეილ ჩიქოვანის განმარტებით, სკოლამ მიიღო კორესპონდენცია, რომლის მიხედვითაც სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება არ იყო რეკომენდებული მანამ, სანამ არ განხორციელდებოდა შენობის საძირკველის კონკრეტული მონაკვეთის გამაგრება. ასევე, სკოლას მიწერილი ჰქონდა სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის, რათა დაეზუსტებინათ, საძირკველის გამაგრებამდე ხომ არ არსებობდა შენობაში ისეთი ხარვეზები, რომლებიც ხელს შეუშლიდა სასწავლო პროცესის წარმართვას და რამდენად უსაფრთხო იყო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის ბიუროსგან წერილობითი პასუხი მიღებული არ ყოფილა, თანამშრომლებთან ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის შენობაში სწავლება უსაფრთხოა.
სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნულ საკითხზე ინფორმირებული იყო ისნის რაიონის გამგეობა და მიმდინარე წლის სექტემბრისთვის აღმოფხვრილი იქნებოდა ხარვეზი.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა სკოლა სპორტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლების დასაქმებისთვის.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლის ორივე პედაგოგი აპირებდა კომპეტენციის დადასტურებას, ასევე აპირებდნენ ვაკანსიის გამოცხადებას და მიმდინარე წლის სექტემბრისთვის ეს რეკომენდაციაც გათვალისწინებული იქნებოდა.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, როდის მიმართა სკოლამ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს და რა მიზნით, რეაბილიტაციის ჩატარების გამო თუ უბრალოდ მდგრადობის დასადგენად.
სკოლის დირექტორის, მიხეილ ჩიქოვანის განმარტებით, ისნის რაიონულმა გამგეობამ დაიწყო სკოლების რეაბილიტაციის პროცესი და თავად გამგეობის წარმომადგენლებმა მისწერეს სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს, რის შედეგადაც დაიდო დასკვნა, რომ რეაბილიტაციის დაწყებამდე საჭირო იყო საძირკველის გამაგრება. ხოლო უსაფრთხოების დადგენის მიზნით, განმეორებით, გამგეობამ სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მისწერა 2026 წლის მარტის თვეში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:23
დასრულების დრო - 16:35

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სკოლის პოზიციის მოსმენის შემდგომ, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადატანა სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პასუხის მიღებამდე, რომელშიც აღნიშნული იქნება, რეაბილიტაციის ჩატარებამდე, სკოლის შენობაში უსაფრთხოა თუ არა სასწავლო პროცესის განხორციელება.

9. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 04 და 05 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 160. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 160 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა გარემონტდა რამდენიმე წლის წინ და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას, სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების კლუბი და წრე, მათ შორის „ეკოკლუბი“, „ნორჩი მკითხველი“, „სპორტული კლუბი“, ინგლისური ენის კლუბი „როგორ ავირჩიოთ პროფესია“, ინტეგრირებული გაკვეთილები ბიოლოგიასა და ინგლისურ ენაში და სხვა. ექსპერტის თქმით, სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობით სკოლა დაჯილდოვდა 8000 ლარამდე გრანტით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს სხდომის მდივანი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, ვინ ასწავლიდა სკოლაში გეოგრაფიას და აპირებდა თუ არა სკოლა ვაკანსიის გამოცხადებას ამ მიმართულებით. სკოლის დირექტორის, დურსუნ ნიჟარაძის თქმით, დაწესებულება მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში და რთული იყო კადრების მოძიება, გეოგრაფიას ასწავლიდა მასწავლებელი, რომელსაც არ ჰქონდა დადასტურებული კომპეტენცია.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამდენსართულიანი იყო სკოლა და შესაძლებელი იყო თუ არა სავალდებულოდ გამოსაყენებელი სივრცეების პირველ სართულზე განლაგება.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლის შენობა იყო ორსართულიანი, გარკვეული სივრცეები განლაგებული იყო მეორე სართულზე, თუმცა საკლასო ოთახების რაოდენობა არ იძლეოდა საშუალებას, რომ სავალდებულოდ გამოსაყენებელი სივრცეები განთავსებულიყო პირველ სართულზე. დირექტორის თქმით, შენობის ადაპტირებისთვის მიმართავდნენ ყველა საშუალებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:51
დასრულების დრო - 16:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლას (ს/კ: 246756238) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში კვალიფიციური მასწავლებლების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და გეოგრაფიის) დასაქმების, ხოლო **2028 წლის აპრილში** ლიფტის მონტაჟისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:00 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი/საბჭოს მდივანი
ჩაკვეტაძე კახაბერ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე